ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2270266

ნომერი: AR1352913

თარიღი : 29.10.2015

გაცემის თარიღი : 30.10.2015

გაცნობის თარიღი : 30.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 21 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დურმიშხან ღვინიანიძე პ/ნ 01002004997
- თბილისი ალმასიანის ქ. N 19/21 ბ. 39

ორგანიზაცია:

- სს პირამიდა კოდი: 209446786

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30/09/2015 წლის #2218155 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 29/10/2015 წელს AR1352913 განცხადებით მომართა დურმიშხან ღვინიანიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30/09/2015 წლის #2218155 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30/09/2015 წლის #2218155 ბრძანებით ქ. თბილისში, ფეიქრების ქ.№21-ში, კერძო კუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.11.04.029.095), შეთანხმდა ბეტონის საწარმოს არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2016 წლის 01 იანვრის ჩათვლით. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართელბრივ აქტში დამკვეთად მითითებულია ს/ს „პირამიდა“ (დირექტორი: დურმიშხან ღვინიანიძე).

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N882015573613, მომზადების თარიღი: 07/10/2015 18:10:32) თანახმად, დღეისათვის, მიწის ნაკვეთის, მდებარე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ფეიქრები, N21 (საკადასტრო კოდი: 01.11.04.029.095), მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია“.
ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15197584, 02/10/2015 16:49:18) სს „პირამიდას“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი – დურმიშხან ღვინიანიძე.
ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15195587, 01/10/2015 10:35:16) შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ დირექტორები – დავით ჯუღაშვილი და მიხაელ იურგენ ჰამპელ.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე და ვინაიდან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი აქვს ახალ მესაკუთრეს – შპს "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია" სამსახურმა მიზანშეწონლილად ჩათვალა შეიტანოს ცვლილება 30/09/2015 წლის #2218155 ბრძანებაში და დამკვეთად სს „პირამიდას“ ნაცვლად მიუთითოს შპს "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია".

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30/09/2015 წლის #2218155 ბრძანებაში. კერძოდ: დამკვეთად სს „პირამიდას“ ნაცვლად დაფიქსირდეს შპს "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია"(საიდ. კოდი: 204559003).

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30/09/2015 წლის #2218155 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.